

# საგზისაღმდეგ

თავისუფალი სოციალური გაზეთი

ფასი 40 კაპიკი

საქართველოს მენეჯერთა კავშირი



გ. ბერიძის ფოტო

## საქართველო საქართველოს წინააღმდეგ?!

ღმერთმა დაგვიფაროს ძმათა სისხლისღვრისგან! ღმერთმა ინებოს ჩვენში მიმდინარე მოვლენები კომმარულ, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ ქუეის სასწავლებელ გაკვეთილად დარჩეს, თვალი აგვეხილოს თეთრისა და წითლის გასარჩევად, რათა თავისუფლებისკენ მიმავალ ოღრ-ჩოღრ, ხიფათიან გზაზე ერთხელ დაშვებული შეცდომა აღარ გავიმეოროთ. პოლიტიკას უნდა ჩამოშორდეს ხალხი, ვინც საჯაროდ, მოურიდებლად მოგვენოვებს ძალადობისა და სამოქალაქო ომისკენ. ქუჩაში ძირითადად ხომ ახალგაზრდობაა, ერის მომავალი. ვის სჭირდება მომავალი თავისუფალი საქართველო უქართველებოდ? ან, თუნდაც, კენის ცოდვის ფასად?

ჩვენ არც თემურ ლენგი დაგვსხმია და არც შაჰ აბასი, თითქოს აღარც რუსის ჯარი გვერჩის ისე აშკარად. მაშ, რად უნდა დაიღვაროს ქართული სისხლი?

გონს მოვეგოთ ხალხო!!!

## საქართველოს ჟურნალისტთა ჯგუფის მიმართვა კოლეგებისადმი

საქართველოში პოლიტიკური სიტუაცია მეტისმეტად დაიძაბა. ქვეყანა თითქოს ერთ უზარმაზარ მიტინგად იქცა, სანაც ორატორებსა და მსმენელ-მაცურებლებს ერთმანეთისა არ ესმით.

ოფიციალური ხელისუფლება ოპოზიციას ყველა ამქვეყნიურ ცოდვაში სდებს ბრალს. არც ოპოზიციის წარმომადგენლები არჩევენ დიდი გულმოდგინებით გამოთქმებს ოფიციალური ხელისუფლების „შესამკობად“.

ხშირად, ერთი და იგივე ფაქტი სრულიად განსხვავებულად აიხსნება. ამის ნათელი დასტურია ორი სექტემბრის ამბები, როცა „ომონმა“ დაარბია მომიტინგენი, გამოყენებულია ცეცხლსასროლი იარაღი, დაიღვარა სისხლი.

უფრო ადრე, ამის დასტური იყო ეგრეთწოდებული მოსკოვეური „პუტჩის“ ორპარტიანი შეფასება;

ქართველ ჟურნალისტთა კორპუსს პირუთვნელად არ შეუფასებია „პუტჩის“ დროს ჩვენი ხელისუფლების, თვით საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პოზიცია;

პრესა და ტელევიზია ცალმხრივად გამოეხმაურა ორი სექტემბრის მოვლენებს, არაფერი უთქვამს რესპუბლიკური გაზეთების გაუქმება-შეერთების თაობაზე, არც ჟურნალისტთა ოთარ იოსელიანის დასაცავად თქმულ სიტყვას;

არსად ჩანს საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების ანალიზი, არსად ჩანს მართალი და პირუთვნელი სიტყვა.

„მეოთხე ხელისუფლება“ დუმს. დუმს საქართველოს ძნელბედობის ქაშს.

ამას შთამომავლობა არ გვაპატიებს. ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერ ჟურნალისტებს

აუცილებლად მიგვაჩნია სრულიად საქართველოს ჟურნალისტთა ყრილობის დაუყოვნებლივ მოწვევა, სადაც განისაზღვრება ქართული ჟურნალისტიკის როლი და ადგილი საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ჩვენს კოლეგებს მოვუწოდებთ გამოიჩინონ პროფესიული და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, აქტიური მონაწილეობა მიიღონ ყრილობის მომზადებასა და მუშაობაში.

ირაკლი ბერიძის, მიხეილ ვიზინასკის, აკაკი გომორიშვილის, ელზაზა ბერიშვილის, ჯიშნარ ენუშიძის, ცილა გომოჭაშვილის, რუსუდან ლეზანიძის, მაია ჭალაბანიძის, ბია ტუაშვილის, გონდო ჭურაძის, მარა ბალარაშვილის, ჯემალ პასრაძის, თენგიზ ბაჩიანიძის, მამუკა ფარაშვილის, ვახტანგ ნაღვიძის, ახან სინარაშვილის, ბესო მინთარაშვილის, გოგა კავილაძის, ნინო ხარაზიშვილის, თეიმურაზ ჭორიძის, თამარ ჩიქოვანის, იოსებ სიმონიშვილის, ზურაბ ფოცხვერია, გიორგი იოგოშვილის, ნოდარ კოვბერიძის, ზალვა ზალთოშვილის, მარა რატიშვილის, თემურ ჯღნების, ბია ახალაძის, ზაზა ახაძის, თამაზ მიხრიაშვილის, ნოდარ მუსულიშვილის, ოთარ ბელაშვილის, უზანა მინაძის, გიგლა გომეზია, ავთანდილ გურასაშვილის, გიორგი კოკოშვილის.

ხელმოწერა გრძელდება





